


# საქართველო

სურათებიანი ლამაზი

გაზეთის № 254

ლამაზების № 45

კვირა, 13 გიორგოვისთვე, 1916 წ.



ვალ. გუგია

(უკანასკნელი სურათი).

## ზამთრის კირვა

1.

ნისლი ჰბურავს არეს,  
ვით სუდარა მკედარსა;  
ნალღელს შავს და მწაფეს  
ასმევს მთა და ბარსა!..  
მოკვდა სხივი მზისა;  
გაჰქრა ყვავილთ ღიმილი.  
სევდა განცდალ გზისა...  
ჩაწყვეტილი სიმი...

2.

ღმუის ქარი, ჰკენისს, ჰკოდებს,  
შმაგობს, ხეებს წელში ჰხრის!  
კლდეთა ზღუდეს აგლეჯს ლოდებს,  
ველის მკერდზე ნამქერს ჰყრის!..  
ვითა ქვიშა ცივი, წვრილი,  
ციდან ხშირი წვიმა სცრის...  
ვილაც.. რაღაც.. სისხლში სვრილი  
საფლავს გრძელს და ღრმასა სთხრის!..  
გმირის გვამთან ტურფა ქალი  
იგლეჯს თმასა, ცრემლსა ჰღვრის...  
და სდუმს ცივად ბაგე მკრთალი  
სახე წყნარის, უტყვი მკედრის!..  
შმაგობს ქარი!.. ღმუის, ჰკოდებს,  
მძლავრსა ხეებს წელში ჰხრის!  
კლდეთა ზღუდეს აგლეჯს ლოდებს  
ყვავილთ ბაღზე ნამქერს ჰყრის!

კ. მაყაშვილი.

## მოწმენდილ სახე

მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავთა შორის,  
ვით ქვეყნის თვალი ბადრი მთვარე გზას განაგრძობდა;  
მე კი ცრემლებით ავსალ თვალებს არ ვაშორებდი,  
მოკლული გული ნალღელის მეტს რაღას იგრძნობდა?..

თავს ვერ ვართმევდი შავ-ბნელ ფიქრებს ობლად შთენილი,  
არ მოველოდი არც მეგობარს, აღარც გულის სწორს;  
იმედის სხივი ჩამქრალიყო ერთ დროს ნათელი,  
ტანჯული სულის დასალევედ შორს ვიყავ, შორს, შორს...

ქნარი.


\*\*

ჩვენ ხომ ბევრი ვართ, მაშ ერთ დღეს  
ავენთოთ როგორც სხივები;  
უწინ თუ მამულს ჰყოლია,  
არც დღეს გვაკლია გმირები!


ნურც გვანუგეშებს ნურავინ,  
როცა დარდი გვკლავს გულისა;  
ყველა მსხვერპლი ვართ, იცოდეთ,  
სამშობლოს სიყვარულისა!

ქნარი.

# ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ი ვ ე ბ ი .



ნახატი მლ. მელ. ყანჩაველისა.



ნახატი მლ. მელ. ყანჩაველისა.

## ფიქრი ნაწყვეტი

კოლხეთის ბაღში ყვავილს მინამულს  
 აკრობს ოცნება ვარდთ საზიარო,  
 საგაზაფხულოდ ქართლოსის მამულს  
 გაუძარცვია სამგლოვიარო.  
 ავირან გმირი ძლივის ალაშით  
 აოტებს ყორნებს, ილტვის წყეული...  
 შორით იცინის აღთქმულ სალაშით  
 სხივოციალე მზე კურთხეული!

## სულის ლაგანდა

1.

მზე ინთებოდა!..  
 სხივს მოჭქონდა შვება დილისა,  
 განცდა მგონსური, სულის რწმენა სიყმაწვილისა!  
 ამკობდა ზამბახს მკერდის რხევა მიცვარულისა  
 და გულს უჟანკოს ნიშატობა სიყვარულისა!

2.

მზე იფერფლოდა!..  
 თან იწვოდა დღე წუთლეული  
 და სიხარულის საოცნებო კოშკი მსხვრეული!..  
 ნისლოვან მდელის ეთალზობდა მწუხრი სნეული,  
 ღამის ლანდებში ინთქებოდა სვეკურთხეული!

3.

მანგი მთიებდა!..  
 საკუმაროდ იწვევდა მწარ სულს  
 და უამბობდა საუკუნეთ იდუმალ წარსულს...  
 სამზისიეროს ვარსკვლავები თინათინებდენ  
 და ჩანგის სიმნი ქვითინებდენ და ქვითინებდენ!..

შალ. კარმელი.

## ფშაური ლექსები\*)

ქართლიდანა გამოვთხოვდი  
 კობტა ქალი, მეო;  
 ჩავიცვი და დავიხურე,  
 კარგა მოვირთეო;  
 წავივლისე უმარლი,  
 ფერი ვიჭარბეო.  
 ცივ წყაროზე რომ მოვედიო,  
 სადილი ვჭამეო;  
 შუა გზაზედ რომ მოვედიო,  
 ცხენს აუჩქარეო;  
 მაყრიონი მამძახოდა,—  
 ქალ, დაგვიცადეო;  
 მე რმათ ლაყაფ-ლუყაფსა  
 ყური არ ვუგდეო.  
 სოფლის პირში რომ მივედი,  
 ვარდი ავკონეო;  
 სანთლის შუქი დავინახე,  
 იქ მივატანეო;  
 მულები გამამეგებნენ,  
 არ მივესალმეო.  
 ცხენს აღვირი წამოვყარე,  
 შინ შავიწიეო;  
 კარებშია რომ მივედი,  
 თაფლი შავლოკეო;  
 სამჯერ კერას მაუარე,  
 ჯამი გავტეხეო;  
 მივიხედე-მოვახედე,  
 საჯდომს დავხედეო;  
 ბალიში რომ არსად იდვა,  
 ჯეჯიმზე დავჯეო;  
 იქით-აქეთ პურსა სჭამენ,  
 პური მშიან მეო.  
 ცალკე რომ მიმიპატიეეს.  
 ის მიამა მეო;  
 ტაფა რომ დააჩხარუნეს,

ის მიამა მეო;  
 ათი კვერცხის ერბოკვერცხი  
 მარტომ შევეჭამეო;  
 დიდი ლუქმა ამოვიღე,  
 სხვას მოვეფარეო.  
 სტაქნით ღვინო მამაწოდეს,  
 ის მეწყინა მეო!  
 ნახე ლიტრა მამაწოდეს,  
 ის მიამა მეო!  
 დავლიე და გამოვცალე,  
 გამოვავარეო;  
 მამამთილს წვერი ვავლიჯე,  
 კალთას ვუყარეო;  
 დედამთილი გავუგზურე,  
 მული გავჯოხეო;  
 მაზლი კარს ეფარებოდა,  
 აგებ გადავრჩეო.  
 ქმარი საქალზედ გავგზავნე,  
 მჭადი ვუსესხეო;  
 მაწონსა თავი მოვხადე,  
 დო შეუნახეო;  
 საღამოზედ რომ მოვადა,  
 დო მაუტანეო.

დათვმა სთქვა შაბურშანელმა:  
 —ჭალა შავჭამე სხლიანი;  
 გავხედენ შამოვიდოდა  
 ბატარა მშვილდ-ისრიანი;  
 ტოტით მე, ისრით იმანა  
 დღე დავადამეთ მზიანი;  
 დაღამდა, დავინარჩუნე,  
 გალო გამოვხარ წვნიანი...

მთას თოვლო, ჭალას ყინულო,  
 გასქერ, გამიშვი წინაო;  
 დავწირე წვერილი ობლები,  
 არამც რამ დამიშინაო!

ჩვენის ბატონის კარზედა  
 ხე ალვად ამოსულაო,  
 წვერში დასხმია ყურძენი,  
 სიჭმელად შამოსულაო;  
 იმის უჭმელი ჭაბუკი  
 უღროოდ გადასულაო...

თოვლი თოვს ბოროლაშია,  
 მხვევ რად არ ამოჭმუქდები?  
 ავო რას დამეყფე, ყორანო,  
 ანა შენთვისა ვსუქდები?!  
 შინვე მიუვალ დედასა,  
 თუ ღმერთსაც არ მოგძულდები

\*) ეს ფშაური ლექსები ამოკრეფილია ამ დღეებში ვერაგულად მოკლულ დავ. ხიზანაშვილის კრებულიდან — „ფშაური ხალხური ლექსები“. განსვენებული ამ კრებულში მოთავსებულ ლექსებს ჯერ გაზეთ „ივერია“-ში ჰბეჭდავდა და მერე რედაქციამ ცალკე წიგნადაც გამოსცა 1887 წელს. დღეს ეს კრებული გასასყიდად არ კი იშოვება.

# თამარ მეფე და ხონთქარი

(ლაგენდა)

## I

ხონთქარ-მეფეს თამარ-მეფის სიძლიერე თურმე არ ასვენებდა.

— თუ ეხლავე თამარ ქალს ჩემი ვაჟკაცობა არ გაჩვენებ და არ დავიმონე, მემრე, როცა უფრო მოლონიერდება მეც სხვებსავე და მიქვეშევრდომებსო, — შიშობდა ხონთქარი: ეხლა ძალ-ღონე შემწევეს და ჭკვას არ წაგაგებ, თუ გავილაშქრებო...

მაშინ მართლაც და თამარ ქალს ცალი და ბადალი არა ჰყვანდა: უცხო ტომთა გამგენი და მეზობელ ერთა მმართველნი თამარ ქალ მეფეს თავ-ვანსა და პატივსა სცემდნენ.

მხოლოდ თავილობდა ამაყ ხონთქარი.

თამარ ქალმა გაუგო ხონთქარ მეფეს ზრახვანი და არ აცალა უცბად თავდასხმა.

— ვაჟკაცს მალულად და მიპარვით არ შეჰფერის იარაღის ხმარებო, — შეუთვალა თამარმა ხონთქარს: თუ რას მედავები, შემომითვალეო, თუ არა და, ეს ბურთი და მოედანო...

— ქალმა რო მაჯობო, რალად მინდა ეს უღვაშიო, — შემოუთვალა მუქარა ხონთქარმა: თუ ივერიაზე ხელი არ ავალდებინე და ჩემი მონა არ გაგხადე, მა რ. ლა მეფე-კაცი ვარო...

— თუ შენი უღვაშით მოგაქვს თავიო; — გააბრაზა თამარმა ხონთქარი, — იცოდე, მოგპარსამ და ისე გაგისტუმრებო...

ხელად გაიმართა ომი.

## II

ხონთქარ მეფე თავის ჯარი-ჯარამათი სტამბოლადან წამოვიდა ზღვით... თამარ მეფეც თავის ლაშქარით დაჰხვდა ზღვას პირას, რომ უჯულოები არ შემოეშვა ივერიის მიწა-წყალზე...

თამარ ქალიც ხომალდში იყო თავის ნაზირ-ვეზირით... მას თავი ეხურა; ჩიხტაკობი მის პირ-მზე-ბადრე სახეს უხდებოდა, წმინდა გიორგიანი ლეჩაქი, თითქო მისი მძაფრი ველიაო, ისე ეალერს-თავს ევლებოდა ზღვის საამურ ნიავის ქროლვაზე...

— გვირგვინი რად დაგავწყდა, დედოფლო, — მოახსენა ნაზირ ვეზირმა: — შეიძლება, ხონთქარის ქალაქში შევიდეთ, უბრალო მოპაკედავი ეგონებოთო.

— თუ ხონთქარის ქალაქში შევალთ, ხონთქარის გვირგვინსაც კარგად დავდგამო, — ალერსიანად უპასუხა თამარ ქალმა: თქვენც ხლად თათრის ხალათ-კაბას ჩაგაცმევთო...

## III

ხონთქარის ხომალდი გამოჩნდა და აპრობდა კიდევ თოფ-ზარბაზნის დაშენას, უცებ ხომალდში მჯდომი ხონთქარი თავის ამალით შეწუხდ-შეშფოთდა.

არც გასაკვირველი იყო: ზევიდამ, ციდიმ, გემს დასხაოდ-დასტრიალებდა ფრინველთა აუარებელი გუნდი, ძირიდან კიდევ, ზღვიდამ, გზას უკრამდა და ატოკ-აქანებდა თევზთა უთვალავი ქარავანი.

ხონთქარის გემი ლამობდა გადაბრუნებას, ჩაძირვას...

ამ არაჩვეულებრივ მოვლენის დანა-

ხვაზე თამარ მეფეს თავის ლაშქრით სიამოვნებით გული აევსო.

— გმადლობ შენთვის, ღმერთო! — ახსენა ღმერთი თამარმა და პარჯვარი გადიწერა: დახე, როგორ აცხადდა მკითხავის სიტყვა: „შენ ევეთა ბედნიერი და ყოჩაღი მეფე იქნებო, რომ მალა-ცაში მფრანველნი და ძირს-ზღვაში თუჯნი შენი მოხარკენი და მშველენი იქნებანო“...

## IV

ხონთქარ მეფის გემი იძირებოდა — იღუპებოდა... ისმოდა ვაი ვაგლახი, ღრიანცელი...

— გვიწვილეო ხეთის გულისათვის... — დაჰარდნილს აღარასცემენო... — შეებრაღა ლმობიერ თამარს მტერი: ლესის რისხვაც ეყოფაო... თუ როგორმე შეიძლება, ხონთქარი ანუ მისი გვირგვინა შაინც გადაარჩინეთო...

— დახ, ხონთქარის გვირგვინი არც შენ გაწყენსო, — მოუწონეს ნაზირ-ვეზირებმა: ხონთქარს რომ უღვაშიები მოვპარსოთ და ისე გავვზავნოთ სახლში, არც ის იქნება ცუდიო...

## V

ლაგენდას თუ დავუჯერებთ, თამარ მეფე ხონთქარის გვირგვინიანათ შესულა სტამბოლში... იმასაც კი ამბობენ, სტამბოლის ერთ-ერთ მუზეუმში ხონთქარს სურათი გადარებული, უღვაშიებ მოპარსულიო...

ღუშელი ვანო.

# მეზღვაური

ზღვა ირწეოდა, ზღვა ღელავდა, ზღვა ბობოქრობდა და გაცოფებულ ზვირთებს სალი კლდის ნაპრ. ლთ აჯახებდა...

ხომალდები ისე ქანაობდა, როგორც შემოდგომისას ლერწმის ტყე.

აი ტალღა ტალღას დაეჯახა, ზვირთი-ზვირთს და თვალ უწვდენელ სალ კლდეზე იერიში მიიტანეს.

კლდე გაბრაზდა. უზარმაზარი ლოდი გულიდან მოიკლაჯა და გაცოფებული, ღრილა ზვირთი უძლურ ნაფლეთებდა აქკა.

კიდევ ახალი ტალღები... სალი კლდიდან გადმოსროლილი ლოდი პაერში ააბზრიალეს და ზღვის უფსკრულში ჩასძირეს.

მზე სხივებს აბნევდა და ლურჯი ზღვის ტალღებს ეარწყებოდა. ტალღები კი პირიდან ქაფს ჰყრიდა, მთაღერსე მზეს სხივებს სტაცებდა და ქათქათა ქაფში ახვევდა...

ზღვა ირწეოდა, ზღვა ღელავდა, ზღვა ბობოქრობდა და თავის ტალღათ ცას აჯახებდა, დედა მიწას წალეკვას ემუქრებოდა...

ხომალდიდან ახალგაზდა მეზღვაური გადმომდგარიყო და ზღვის ზვირთების სიბრაზით თავს ირთობდა, სტკებოდა!

მეზღვაურს ხომალდი ისე არწევდა, როგორც ძუძუ-მწოვარა ბავშვს დედა ტკბილი ნაინის დროს.

ტალღები ერთი წუთით შესდგა... შორს ზღვის ზედა-პირზე გამოჩნდა შიშველი ქალი, დაუნდობელ ზღვის ზვირთებს ძალზე მოექანცა. მეზღვაური ქალის სიმშვენიერემ მოხიზლა და მის საშველად გადახტა.

იგი მოქნილი მკლავებით ზღვის ზედა პირს არღევდა და მშვენიერ ქალს სისწრაფით უახლოვდებოდა.

ქალმაც მოჰკრა თვალი მეზღვაურს და მსკენ გასწრა.

ორივემ ერთად შეაჩერეს ზღვის ტალღებთან ბრძოლა...

მეზღვაური ქალს დააჩერდა. შეკრთა...

იგი ზღვის ფერია იყო...

ზღვის ფერიამ კოხტად წამოსწია თავი, გრძელი გიშრის თმა შემოიბერტყა, ნაზი ხელები მეზღვაურს ჩასჭიდა და ვნებით ჩაეკონა...

მეზღვაურმა შეება იგრჩნო. ათთრთოლდა...

ზღვის ფერიამ მოხდენილად გადიკისკისა და მეზღვაურა ზღვის ფსკერისაკენ, ზურმუხტთა სამეფოში მიიპატიჟა...

ზღვამ კვლავ ზვირთი ზვირთს შემოჰკრა და ტალღა სალ კლდეს დააჯახა.

მას შემდეგ ზღვის ფერა ლურჯი ზღვის ტალღებიდან ხანდახან ამოყოფს თავს და მეზღვაურება თვალ-ყურს აღევნებს...

ნიკ. ასათიანი.

# გულნიკალი

ამორა მოქმედება.

სცენა წარმოადგენს ყაფლან ფაშის საჯალაბ-ს.

პირველი გამოცხვლა.

ყაფლან-ფაშა და დედა მისი ფაშა-ხანუმი.

ფაშა-ხანუმი. — შეილო! ჩემო ლომკაცო! რა დარდი გაქვს? სახე შენი რაღაც ბურუსს მოუტავს, რა გემართება, დედა შენს ხომ არას დაუფარავ? — შენის სიამოვნებით მეც ვტკებები. და თუ რომ დარდი გაქვ, მინდა ისიც გავინაწილო.

ყაფლან-ფაშა. — დარდი კი არა, ერთი რამ განხრახვა მაქვს; და შენი დახმარება მჭირია: აი, ამდენი დიდება ხელში ჩავვივარდა, ქვეყანა დაგვრჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენი შთამომავლობის ნახევარი ქონება, ისევე მუხთარის ხელშია. მე სანჯალის ბეგობა მივიღე, დაპამტკიცეს კიდევ, — ის კი ისევე უბრალოდ დარჩა. მაგრამ ხალხში ჩეზე ძეტი გავლენა აქვს. ჩემი გავლენა მხოლოდ ჩემი ძახვილის შიშის ზარითა ხდება და ის კი, რასაც მოისურვებს, ყველა სულითა და გულით უსრულდება. გული რომ ნაქეო-ნაქეო-რად მიქცაონ და განიხილონ, შიგ მუხთარის მტრობისა და შურის გარდა სხვას ვეოაფერს იპოვიან... ძუხთარი მძულს... რამდენადაც ხალხი მას სიყვარულით ეგებება, მე იმდენად ზიზლით ვივსები. ისმეთიც ძისის გულისათვის თავს არ ჰზოვავს. ამ ტახტვა-წვალებისათვის შური უნდა ვიძიო. როგორც მათურს ისე უნდა ვტანჯო-ვაწვალო!

ფაშა-ხანუმი. — შეილო! თქვენს გვარში შენზე მხალა არვინ მიხახავს! — აგერ რამდენი ხანია ხალხში მუხთარის დიდების ხმა ისმის. და ისიც ჩვეულებრივად მათში ნავარდობს. არც შენი რიდი აქვს. შენ კი ეს გაწუხებს. საწამლაგი არა გაქვს?.. ინებებთ, თუნებთ მოგიტანო? ჯალათები არა გყავს? ერთი რომ ანიშნო. ათასობით გამოგეცხადებინ. მას რად აცოცხლებ?

ყაფლან-ფაშა. — რა არის შურისძიება, ჯერ არ გავიგია. ერთი კაცის

სიკვლილით რა იქნება? სწრაფი სიკვდილი ვანა შურის ძიება? რამე წამებაში ვარ, არ იცი! მეც ვაძულებ, მმართველი ვარ, სამას-ათას კაცზე გავლენა მაქვს. ვისაც რასაც მოუნდომებ, იმას ვუხამ.

გნებავს ეს მთა-ბარი, ყირამალა შეაწელამდე ჩაფლულ ადამიანთა გვამებით მოვროთ? გნებავს ეს ბალი ღელამისაგან დაშორებულ ბავშვების ცრემლებით მოვრწყო? გნებავს ქვემო უზანი ნილგარის მსგავს სისხლით გადავლეკო? გნებავს მამას შვილი თავისივე ხელებით ცეცხლში შევაწვივინო? გნებავს, შვილს დედა ცოცხლად გავატყავებინო? მე აქ რაც მნებავს ის იქნება. რასაც ვუბრძანებ ის ასრულდება. მხოლოდ ერთი მუხთარი არ მემორჩილება!

ფაშა-ხანუმი. — შეილო! მოჰკალ მეთქი, ვერ დაგაჯერე! არ ვიცი... შეგიძლიან ჯოჯოხეთს გაამგზავრო?

ყაფლან-ფაშა. — მე იმას ჯოჯოხეთის წვალება ამ ქვეყნად უნდა გამოვაცდევინო. უნდა ვაწამო, ვაწამო!

ფაშა-ხანუმი. — კარგი შეილო, ისე იყოს. შენ შენს სიამოვნებას უყურე. მაგრამ არ ვიცი, როგორ მახსრახებ? ყაფლან-ფაშა. — როგორ მოვახერხებ? ისმეთი ხელიდან უნდა გამოვგლიჯო. ძას ჩემ დამი საყვარული უნდა ვაიძულო. ყველს წამს ათას ნიირის შეურაცხყოფით, ათასნაირის ნაღველითა და ვკრამით გული უნდა მოვუშხამო და ქლექით საწოლის ტყვედ უხდა გავხადო. ძუხთარმა უნდა იცოცხლოს, და ისმეთის მწარე ოხვრა და კენესა უხდა გაიგონოს, როგორც სასაფლაოში ცოცხლად დამარხულისა!.. სახე სუდარსავით ფერმკრთალი უნდა ნახოს. ყოველ წამ ათასნაირი სასიკვდილო წვალება უნდა განიცადოს. ყოველ წამს ათას ბაირ ჯოჯოხეთურ ტანჯვაში უნდა ჩავარდეს. გესმის? მე შურის ძიება ასე მსურს!

ფაშა-ხანუმი. — შეილო, შენ ხომ ბავშვი არა ხარ? იმისთვის ისმეთის მოწყვეტა, მოშორება, სიცოცხლის დაკარგვაზედ უფრო უარესია?

ყაფლან-ფაშა. — შენ სიცოცხლეში არ ვინ გყვარებია და მიტომ არც შეგიძლიან იცოდე, რა არის ტანჯვა გაყრისა?

ფაშა-ხანუმი. — ერთი შეხედე, ამ არა კეთილს? მაშ შენდამი ჩემი სიყვარული?

ყაფლან-ფაშა. — ჩემდამი შენი სიყვარული? დედა ჩემო, რე კარგად ვიცი, რომ ჩემდამი შენი სიყვარული მონადირეს მიერ თავის გაწრთვნილ ძალის სიყვარულისაგან არ განირჩევა! მე დაბადებიდანვე შენს გემოვნებაზე აღმზარდე, შენის სურვილისაყებო მიმაჩვე. ჩვენ ჩვეულებრივი დედა-შვილი კი არა, ნამდვილი მონაწილე ორი მკვლელი ვართ!.. გამიგონე! ძუხთარი საპყრობილეშია. ისმეთიც მოსულა და მის განთავისუფლებასათვის უნდა მოგმართოს. დააჯერე რომ მე გამოჰყვეს და მუხთარიც განთავისუფლდება. შენს მოხერხებაზეა.

ფაშა-ხანუმი. — შეილო, ეგ როგორი სიტყვაა? თქვენი განზრახვა თუ შურისძიებაა, — ისმეთი წაართვა და სხვას მიათხოვე. ჩემს ბატონობა სხვა ვინამე მონაწილე უნდა გაუჩინო? ამდენი მხევალები გყავს, არ გყოფნის?

ყაფლან-ფაშა. — ასე რომ ლაპარაკობ, მერე რად გავიწყდება, რომ დღეს

შვილი შენა ქვეყნის ბატონი და შენი ბრძანებელიც არის. იგი შენგან გაწვრთნილია და კარგად იცი, რასაც მოიქედებს. შენის დღეგრძელობის, შენის ნებურებისათვის მამის მომკვლელის ხელში იმყოფები. განა არ იცი, ასეთი კაცი თავის ქეფისათვის რას არ ჩაიდენს? გამიგონე, ისმეთს შენ გთხოვ! არ დაგავიწყდეს! მე კარგებს უკან გაგჩერდები.

**მეორე გამოსვლა.**

**ფაშო-ხანუმი.**—(თავისთავად) ოჰ! მხეცად გაიზარდა. მამის ხორცის შემკმელი, დედის გულ-ღვიძლს როგორ არ შესკამს? ღვთისგან შერისხულო თავო ჩემო, მოსისხლევე, გასწი! წინ მდებარე საფლავისა გეშინი. ნ? ის ხომ შენის ფრჩხილებით გასთხარე? ეხლა ვინ იქმნება ჩვენი მფარველი? ერთი ქმარი მყავდა შემშურდა, შემძულდა და სიცოცხლე მოუსპე. ერთი შვილი მყავს, და იგიც სახლიკაცების ხორციით აღიზარდა...

**ყაფლან-ფაშა.**—(კარიდან გამოჩნდება) საღამომდის ასე უნდა იყოყიანო და იზუტბუტო?

**ფაშო-ხანუმი.**—ეხლავე, შენს ბრძანებას სისრულეში მოვიყვან. ეხლავე! (ყაფლან-ფაშა ისევ კარებს ამოღფარება) აქ მო!.. ვინ არის მანდ?

**მესამე გამოსვლა.**

**ფაშო-ხანუმი და იადიგარი.**

**ფაშო-ხანუმი.**—გოგო! ისმეთ-ხანუმი ოთახშია?

**იადიგარი.**—დილით აღრიანად მოვიდა.

**ფაშო-ხანუმი.**—უთხარი მოვიდეს მის გადიასაც დაუძახე.

**იადიგარი.**—ბატონო ბრძანდები.

**მეოთხე გამოსვლა.**

**ფაშო-ხანუმი მარტოდ.**

**ფაშო-ხანუმი.**—ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცდი, თუ რა არის შიში!—მოწამლა რომ მოვინდომო, ჩვენს განყოფილებაში საქმელს არ სჭამს, წყალს არ სვამს. მხეცივით ამდენი უღანაშაულოთა სისხლი შევსვი, საწოლში ჩემი ქვარი მოვშხამე, მაგრამ გაცოფებულ კატასავით ღვიძლი შვილის შექმა გულმა ვერ შესძლო! საბრალო თავო ჩემო! მე დედა ვარ, მაგრამ ის კი შვილი არაა ჩემი. როგორ უნდა იყოს, როცა ჩემივე ხელით მამის სისხლი დავალევინი?!

**მეხუთე გამოსვლა.**

**ფაშო-ხანუმი, ისმეთ-ხანუმი, გულნიშალი და იადიგარი.**

**ფაშო-ხანუმი.**—(ისმეთ-ხანუმი მივა ფაშო ხანუმის კალთის საკოცნელად) რა საკადრისია, ჩემო გოგუნო! მოდი ასე. აგერ ჩემთან დაჯექი. ღვთით კარგად ბრძანდებით?. გულნიშალ, შენ როგორა ხარ?

**გულნიშალი.**—თქვენს დღეგრძელობას, თქვენს დიდებას ვლოცულობო.

**ფაშო-ხანუმი.**—რაც დრო და ხანი გადის, კაცი ბერდება და შენ კი ყმაწვილდები. ისმეთ-ხანუმი ხომ—ბარაქალა... ერთი რამ კარგი ამბავი მაქვს, მთელი ქვეყნიერება თქვენი უნდა გახდეს. სამახარობლო შენგან მოვიტხოვო, თუ ისმეთ-ხანუმისაკან?

**გულნიშალი.**—ჩვენ ვინ გავხდით, რომ ბატონს სამახარობლო ვაკადროთ? ჩვენი ქონებაცა და სიცოცხლაცა განა თქვენი არაა?..

**ფაშო-ხანუმი.**—შენ ხუმრობა არ იცი, თურმე!—ქალ-ბატონო, ჩემო გოგონო! ღმერთმა ბედ-იღბალი მოგიმა-

ტოს. შვილი ჩემი შერთვას გიპირობს. როგორ! და ახლა სამახარობლო რომ მოვიტხოვო, არ ღირს?

**ისმეთ-ხანუმი.**—ფაშის განზრახვა ვიცი.

**ფაშო-ხანუმი.**—შეხედე, აბა, ამ უმადურსა და ცბიერსა, თუ იცოდი მერე რაუ არ მოხველი და მადლობა მაინც არ გადამიხადე?

**ისმეთ-ხანუმი.**—როგორ თუ მადლობა გადამეხადა, განა მე ის მსურდა?

**ფაშო-ხანუმი.**—სულელის სიტყვებს უყურებ?.. შენ ვინა ხარ ქალო, რომ შვილი ჩემი არ ისურვო! სიცოცხლე უნდა გაიმწარო?

**ისმეთ-ხანუმი.**—მე სიკვდილით უნდა შემაშინოთ? არა!.. თქვენის წყალობით ყოველდღე უღმობელად დახოცილი უცოდვილოთა გვაშენის ყურებით. იმასაც შევეჩვიე!.. საწამლავები გაქვს თუბი? მომართვით! ჯალათები გყვანან კარებს უკან დამალული? მოიხმეთ და თქვენც დაინახავთ, თუ როგორ თამამად შეხვდება სიკვდილს თქვენსეტი წლის შეყვარებული ქალიშვილი?.

**გულნიშალი.**—ისმეთ! ჭკვა ხომ არ შეგშლია?

**ისმეთ-ხანუმი.**—გაღია, სსუ! ყოველ სიტყვაში ნუ მისწრობ და ნუ მეჩხირები!. გულში ნადები ნადევი ვერაფრით მომიხელებია; ეს ნადევი უნდა გამოვცალო, ჩემს ძარღვებშიაც მათი სისხლი სჩქეფს, გაიგე? (ისევ ფაშო-ხანუმის მიმართ) შენი შვილი სახლში მივარდება. შეურაცყოფას მაყენებს, და შემდეგ ამისა ჩემ შერთვას აპირებს!—შენი შვილი ერთს უცოდველ ადამიანს, როგორც მკვლელს, ისე შეაპყრობინებს თავის ჯარისკაცებს, ჩემი სახლიდან წააყვანინებს,


საპყრობილეთა ჩანამეჩხინებ... ბატონი-ლებით შეაბოქვინებს და მერე მკვლარათსა მწერს: „პირობად ერთ წინადადებას გაძლევ, თუ მიიღებთ მის სიცოცხლეს დაიხსნით“.

ფაშის ჩემი ნამუში, სანახლაურო ფული ხომ არ ჰკონია! მუხთარის გულისათვის მე რომ სულს არ ვზოგავ ფაშა ამას უყურებს და მასაც ჩემი გულის დაპყრობის იმედი გაღვიძებია! აქ უნდა მომიყვანოთ და თქვენ მიერ ხანჯლებით დაგვიმღო უცოდვილოთა ჩონჩხებში უნდა ჩამაწვინოთ? მე აქ თქვენგან მოწამლულ საბრალოთა აჩრდილთ შორის უნდა მატაროთ? საბატარძლო ჩემი ოთახი ბიძაჩემის სისხლში ამოსვრილ სამოსელით უნდა მომიგოთ? ჩემი ქორწინებზე მოწვეულ ძაღლებს სადილად მუხთარის გულ-ღვიძლი უნდა მიართვათ?

ქალო, ნუ თუ შენი შვილის სისხლითა ჩირქით ამძორებულ საწოლისთვის შესაფერი ადამიანის თვისებასა და ღირსებას მოკლებული სხვა ვერაფერს გამოსძებნე? ვინ მოგახსენა, ვითომ მე ჯალათის ცოლობას დავთანხმდები?—ვინ გითხრა, ვითომ მე გარეულ მხეცებთან ერთად ერთ ქერქვეშ ყოფნას დაგვერდები?—ვინ დაგარწმუნა, რომ მე ყველას სისხლის შემსმელ მხეც-მტარვარის ნაყოფს მუცლით ვატარებ, გვარს გავუმრავლებ და უკანსკენლ განკითხვის დღემდე მთელი ხალხის წყევლა-კრულვას თავს ვიღებ?!. შვილისათვის საცოლეს თუ ეძებ, ნუთუ ქვეყნის განაპირად მდებარე საფლავთა შორის დამკვიდრებულ ქაჯებში ვერაფერს გამოიხანე?.

მევედ-ბეგ აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)



რომიანკო. ჩემი გასაღები კი შედის სათათბიროს კარებში, მაგრამ ჩემი პროექტებისა კი რა მოგახსენოთ.



— თქვენი ბატონი არ იღებს? — როგორ არა! ათიდან თორმეტამდე.